

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონპროექტზე “საქართველოს საპატენტო კანონში”
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი: კანონპროექტის მიღება განაპირობა საპატენტო კანონის საერთაშორისო და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის, ასევე იმ სამართლებრივი ხარვეზების აღმოფხვრის აუცილებლობამ, რაც გამოვლინდა საპატენტო კანონის აღსრულების პროცესში.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საპატენტო კანონმდებლობის დაახლოება და ჰარმონიზაცია ევროპულ კანონმდებლობასთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი: კანონპროექტი ითვალისწინებს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის გამოგონების რეგისტრაციასთან და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირებას. კანონპროექტის მოქმედება ვრცელდება ასევე სასარგებლო მოდელზე, რომელზეც შეიძლება გაცემული იქნეს პატენტი. ევროკავშირის მოთხოვნის შესაბამისად საპატენტო რეგულირების სფეროდან გამოდის სამრეწველო ნიმუში და იგი ექვემდებარება სამართლებრივ დაცვას დიზაინის შესახებ საქართველოს კანონით. კანონპროექტი განსაზღვრავს გამოგონებაზე პატენტის გაცემასთან დაკავშირებულ პროცედურებს, გამოგონების სამართლებრივი დაცვის და პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებულ უფლებებს, განსაკუთრებული უფლებების დარღვევისათვის პასიხისმგებლობას. კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საქპატენტის ინსტიტუციური მოწყობას. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეგისტრაციისა და მასთან დაკავშირებული პროცედურებისათვის გადაიხდება საფასური, რომლის ოდენობაც დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს გამოგონებებზე პატენტის გაცემის შესახებ საექსპერტო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გამოგონების სიახლის დადგენასთან დაკავშირებული დავების განხილვას ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში და სასამართლოში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: კანონპროექტი არ მოითხოვს ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება:

სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს მომსახურების საფასურების ცვლილებას.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტით გათვალისწინებული საფასურების ოდენობა დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი შესაბამისობაშია ევროკავშირის დირექტივებთან.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი შეესაბამება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი შეესაბამება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი, საქართველოს მთავრობის კანცელარიის მრჩეველთა ჯგუფი

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტების შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი, საქართველოს მთავრობის კანცელარია

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი: საქართველოს მთავრობა

32 